



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესამე სექცია

საქმე “დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ”
(საჩივარი № 8252/08)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2012 წლის 12 ივნისი

საბოლოო გახდა

12/09/2012

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეზე „დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მესამე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

*ჯოზეპ კასადევალი, თავმჯდომარე,
კორნელიუ ბირსანი,
ალვინა გულუმბიანი,
ეგბერტ მაიერი,
ინეტა ზიემელე,
ნონა წოწორია,
კრისტინა პარდალოსი, მოსამართლეები,
და სანტიაგო კესადა, სექციის განმწესრიგებელი,*

2012 წ. 22 მაისს გამართული დახურული თათბირის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმის საფუძველია საქართველოს ორი მოქალაქის, ქ-ნი *ელენე დადიანისა* და ბ-ნი *დავით მაჩაბლის* („მომჩივნები“) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2008 წ. 4 იანვარს, სასამართლოში, საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი (№8252/08).

2. მომჩივნებს წარმოადგენდნენ ადვოკატები: ბ-ნი *ალექსანდრე ბარამიძე*, ბ-ნი *ირაკლი ყანდამშვილი* და ბ-ნი *ჰანს ვონ საქსენ-ალტენბურგი*, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ თბილისში. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი *ლევან მესხორაძე*.

3. კონვენციის მე-6 და I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლების საფუძველზე, მომჩივნები ასაჩივრებდნენ იმ ფაქტს, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ეროვნული სასამართლოს მიერ მათ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება. ისინი აგრეთვე ასაჩივრებდნენ კონვენციის მე-6, მე-13 და I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლების დარღვევას მეორე სამართალწარმოების დაუსაბუთებელი გაჭიანურების გამო და I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას - საბჭოთა ხელისუფლების მიერ მათი წინაპრების კუთვნილი მიწის ექსპროპრიაციის გამო.

4. 2008 წ. 28 აპრილს, სასამართლომ გადაწყვიტა მთავრობისთვის საჩივრის შეტყობინება. სასამართლომ ასევე გადაწყვიტა საჩივრის დასაშვებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა (მუხლი 29§1).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. მომჩივნები, ქ-ნი *ელენე დადიანი* და ბ-ნი *დავით მაჩაბელი*, დაბადებულნი არიან, შესაბამისად, 1923 და 1964 წლებში, თბილისში. მეორე მომჩივანი პირველი მომჩივნის დისშვილია. პირველი მომჩივნის დედას ჩამოერთვა მიწა და მიწით სარგებლობის უფლება საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1920-იან წლებში.

ა. პირველი სამართალწარმოება

6. 2004 წელს, მომჩივნებმა სარჩელი შეიტანეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინააღმდეგ მათი სამკვიდრო მიწის რესტიტუციის მიზნით. სარჩელის გასამყარებლად, მათ წარმოადგინეს საარქივო მასალები, რომლებითაც დასტურდება მათი წინაპრების საკუთრების უფლება სადავო მიწაზე. სამართლებრივად, მომჩივნები დაეყრდნენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ საკუთრებისა და მემკვიდრეობით მიღებული ქონების დაცვის ზოგად წესებს, საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს მიერ რატიფიცირებულ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

7. 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილებით, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ, სოფელ ბაკურციხეში არსებულ მიწის ნაკვეთზე მომჩივნების თანამფლობელობა დაადგინა. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ოფიციალურად დარეგისტრირდა, როგორც მიწა №604. მოპასუხე მხარემ არ გაასაჩივრა გადაწყვეტილება და ის აღსასრულებლად სავალდებულო გახდა.

8. 2005 წ. 15 თებერვალს, მომჩივნების ადვოკატმა გურჯაანის რაიონული სასამართლოდან მოიპოვა შესაბამისი სააღსრულებლო ფურცელი, რომლის თანახმად:

“ელენე დადიანი და დავით მაჩაბელი ცნობილ იქნენ სოფელ ბაკურციხეში არსებული №604 მიწის თანამფლობელებად.“...

9. 2005 წ. 26 ოქტომბერს, მომჩივნებმა, მოქმედებდნენ რა ადვოკატის მეშვეობით, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, გურჯაანის საჯარო რეესტრში წარადგინეს სააღსრულებლო ფურცლის ასლი 2005 წ. 31 იანვრის საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად. 2005 წ. 2 ნოემბრის საპასუხო წერილში, გურჯაანის საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო მომჩივნების სახელზე ამ მიწის რეგისტრაცია, ვინაიდან მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი. როგორც აღმოჩნდა, ადვოკატის გამოისობით, საბოლოო გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული №604 მიწის ნაკვეთის არც ზომა და არც კატეგორია: იყო ეს სასოფლო სამეურნეო თუ არა სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწა. გარდა ამისა, ადვოკატს ეთხოვა, წარმოედგინა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე რწმუნებულება, რომელიც დაადასტურებდა მის უფლებას, დაეცვა მომჩივანთა ინტერესები, სააღსრულებო ფურცლის ორგინალი და სადავო მიწის საკადასტრო გეგმა.

10. ადვოკატების მიერ წარმოდგენილ, შესაბამისი პერიოდის ანგარიშზე დაყრდნობით, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ 2005 წ. 2 ნოემბრის წერილის მიღების შემდეგ, ადვოკატები, მოქმედებდნენ რა მათი სახელით, რამდენჯერმე მივიდნენ გურჯაანის საჯარო რეესტრში და გამოთქვეს შეშფოთება გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან დაკავშირებით. ადვოკატები *inter alia* აღნიშნავდნენ, რომ მათი პოზიიციდან გამომდინარე, არ შეეძლოთ წარედგინათ სასამართლოს მიერ გამოტანილი, შეცვლილი საბოლოო გადაწყვეტილება. პასუხად, გურჯაანის საჯარო რეესტრმა უარი განაცხადა №604 მიწის რეგისტრაციაზე სხვადასხვა მიზეზთა გამო.

11. 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ აღუსრულებელია.

ბ. მეორე სამართალწარმოება

12. 2005 წ. 25 მაისს, მომჩივნებმა შეიტანეს ახალი სარჩელი იმავე სამართლებრივ საფუძველზე, რომლითაც ისინი №646 მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებაზე აცხადებდნენ პრეტენზიას. აღნიშნული ნაკვეთი მდებარეობს №604 მიწის ნაკვეთის მეზობლად. გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული სარჩელი იმავე დღეს დაარეგისტრირა.

13. მომჩივნების ინფორმაციით, მეორე სარჩელის განხილვა ჯერ არ დაწყებულა.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

14. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა ქონების რესტიტუციის საკითხთან მიმართებაში აღწერილია საქმეში „თეიმურაზ ანდრონიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (№9297/08, 2010 წ. 22 ივნისი) და საქმეში „კლაუს და იური კილაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (№ 7975/06, §§ 23 და 25-26, 2010 წ. 2 თებერვალი).

ა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2004 წ. 19 ივლისის ინსტრუქცია (დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის №835 ბრძანებით)

15. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შეიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში. მის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებისა და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების რეგისტრაცია მათი შემდგომი ცნობისა და დამტკიცების მიზნით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემების შექმნასა და შენახვაზე.

ბ. 1996 წ. 14 ნოემბრის კანონი „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ („კანონი მიწის შესახებ“ გაუქმდა 2006 წ. 28 თებერვალს)

16. მიწის შესახებ კანონის მე-5(ბ) თავის მიხედვით, რეგისტრატორი უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა მიწის რეგისტრაციისთვის საჭირო ნებისმიერი დოკუმენტის წარდგენა. დაინტერესებული მხარე ვალდებული იყო, დაუყოვნებლივ შეესრულებინა რეგისტრატორის მოთხოვნა.

გ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, შესაბამის პერიოდში მოქმედი რედაქციით

17. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე (§1) მუხლის თანახმად, სახელმწიფო მოსამსახურის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად პირისთვის მიყენებული ზიანი უნდა იქნას ანაზღაურებული სახელმწიფოს მიერ.

დ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, შესაბამის პერიოდში მოქმედი რედაქციით

18. სსკ-ის 381-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა წარმოადგენს სამართალდარღვევას:

“მალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მოხელის ანდა სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმხორციელებლის მიერ, [ისჯება]....“

ე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

19. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 (§4) მუხლის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელ ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან.

20. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე (§3) მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული გასაჩივრების პროცედურის შესაბამისად.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 (§1) მუხლის სავარაუდო დარღვევა

21. მომჩივნებმა წარადგინეს პრეტენზიები 2005 წ. 31 იანვრის სავალდებულო გადაწყვეტილების აღუსრულებლობისა და მეორე სამართალწარმოების დაუსაბუთებელი გაჭიანურების შესახებ. ისინი დაეყრდნენ კონვენციის მე-6 (§1) მუხლს, რომლის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება“.

ა. მოსაღებობა

22. მთავრობამ წარადგინა რამდენიმე პრეტენზია საჩივრის მისაღებობასთან დაკავშირებით.

1. მეორე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით

(ა) მხარეთა არგუმენტები

23. მთავრობამ განაცხადა, რომ კონვენციის მე-6 (§1) მუხლი *ratione materiae* ვერ იქნებოდა გამოყენებული მეორე სამართალწარმოებასთან მიმართებაში, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის უფლებას. წარმოდგენილ არგუმენტებში მთავრობამ აღნიშნა, რომ 1997 წ. 11 დეკემბრის კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ ნათლად განმარტავდა, რომ რესტიტუციის საკითხის განსაზღვრა მოხდებოდა ცალკე კანონით. თუმცა, ქართულ საკანონმდებლო სისტემას ასეთი კანონი დღემდე არ მიუღია.

24. მომჩივნები არ დაეთანხმნენ წარმოდგენილ არგუმენტს.

(ბ) სასამართლოს შეფასება

25. სასამართლო აღნიშნავს, რომ მის მიერ უკვე განხილულ საქმეში „კლავს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“ (ხსენებული ზემოთ, §§ 55-61), მან, საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ კანონმდებლობა საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის ან მათი წინაპრებისთვის ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის უფლებას არ ითვალისწინებს (იხ. აგრეთვე ზემოთ მითითებული *თეიმურაზ ანდრონიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*).

26. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანთა პრეტენზია მეორე სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან მიმართებაში *ratione materiae* შეუსაბამოა კონვენციის მე-6 (§1) მუხლთან და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე (§§ 3 და 4) მუხლის საფუძველზე.

2. პირველ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით

(ა) პრეტენზია *ratione materiae* შეუსაბამობასთან დაკავშირებით

27. პირველ სამართალწარმოებასთან მიმართებაში მთავრობამ გაიმეორა არგუმენტი *ratione materiae* მიუღებლობის შესახებ. მომჩივნები არ დაეთანხმნენ ამ არგუმენტს.

28. სასამართლო შენიშნავს, რომ 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილებით, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა №604 ნაკვეთზე მომჩივნების თანამფლობელობა. მოპასუხე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა არ გაასაჩივრეს გადაწყვეტილება და ის აღსასრულებლად სავალდებულო გახდა. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება უნდა იქნას მიჩნეული, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი (იხ. მაგ., *Hornsby v. Greece*, 19 March 1997, §40, *Reports of Judgments and Decisions* 1997-II; *Burdov v. Russia (no. 2)*, no. 33509/04, §65, ECHR 2009; *Apostol v. Georgia*, no. 40765/02, § 37, ECHR 2006-XIV; და *Jafarli and Others v. Azerbaijan*, no. 36079/06, §52, 29 July 2010). შესაბამისად, კონვენციის მე-6 (§1) მუხლი ვრცელდება სამართალწარმოების ამ ნაწილზეც და აქედან გამომდინარე, მთავრობის პრეტენზია არ უნდა დაკმაყოფილდეს.

(ბ) პრეტენზია მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვასთან დაკავშირებით

29. მთავრობის თანახმად, გადაწყვეტილების აღუსრულებლობის წინააღმდეგ არსებობდა მიმართვის რამდენიმე ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალება, რომელთა გამოყენება წინამდებარე საქმეში მომჩივნების მიერ არ მომხდარა. უპირველეს ყოვლისა, მთავრობამ აღნიშნა, რომ მომჩივნებმა არ შეიტანეს სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე (§1) მუხლის შესაბამისად. მეორეს მხრივ, მთავრობის განცხადებით, მომჩივნებმა სსკ-ის 381-ე მუხლის მიხედვით არ შეიტანეს სარჩელი სახელმწიფო მოხელის წინააღმდეგ, რომელიც ოფიციალურად პასუხისმგებელია გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურებაზე. ამასთან მიმართებაში, მთავრობამ წარადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობის შესახებ, რომელთა განხილვა მოხდა შიდა სასამართლოების მიერ სსკ-ის 381-ე მუხლის შესაბამისად. და ბოლოს, მომჩივნებმა არ მოითხოვეს 2005 წ. 2 ნოემბრის წერილის ადმინისტრაციული გადასინჯვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე (§3) მუხლის შესაბამისად.

30. მომჩივნები არ დაეთანხმნენ მთავრობას. მათი აზრით, შიდა პრეცედენტული სამართლის შესაბამისი მაგალითების ვერ მოყვანით, მთავრობამ ვერ მოახერხა იმის ჩვენება, რომ ზემოხსენებული მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები ნამდვილად ეფექტიანია. მომჩივნები დაეყრდნენ საქმეს „შპს „იზა“ და მკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (№28537/02, §35, 2005 წ. 27 სექტემბრის გადაწყვეტილება), რომლის განხილვის დროს, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ და სხვა მსგავს საქმეებში, საქართველოს წინააღმდეგ მოყვანილი ფაქტები მიუთითებს სასამართლოს მიერ სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობასთან დაკავშირებული მუდმივი პრობლემის არსებობაზე. და ბოლოს, მომჩივნებმა, საქმეზე *Hornsby v. Greece* (ზემოთ აღნიშნული, §37) დაყრდნობით აღნიშნეს, რომ არცერთი მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალება არ იყო საკმარისი მათი პრეტენზიის დაკმაყოფილებისთვის.

31. სასამართლო, კონვენციის 35-ე (§1) მუხლის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მიმართვის ის შიდასამართლებრივი საშუალებები საჭიროებს ამოწურვას, რომლებიც ეფექტურია და რომლებსაც შეუძლია სავარაუდო დარღვევის გამოსწორება (იხ. *Sejdovic v. Italy* [GC], no. 56581/00, §45, ECHR 2006-II).

32. უბრუნდება რა პრეტენზიის პირველ ნაწილს, სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში, სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ვერ ჩაითვლებოდა მომჩივანთა პრეტენზიის დაკმაყოფილების ეფექტიან საშუალებად. იმის დაშვებითაც კი, რომ მსგავსი მოქმედებების შედეგი სასურველი აღმოჩნდებოდა მომჩივნებისთვის, საჯარო მოხელის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის არასათანადო შესრულების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება ვერ გახდებოდა იმ ზომების სათანადო ალტერნატივა, რომლებიც საქართველოს სამართლებრივ სისტემას უნდა

შეეთავაზებინა მომჩივნებისთვის, რათა გამოესწორებინა ის ფაქტი, რომ მათ არ შეეძლოთ რეგისტრაციაში გაეტარებინათ მიწის ნაკვეთი, მიუხედავად სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისა, რომელიც მათ აღნიშნულ ნაკვეთზე საკუთრების უფლებას ანიჭებდა (იხ. *Hornsby*, ხსენებული ზემოთ, §37; *Iatridis v. Greece* [GC], no. 31107/96, §83, ECHR 1999-II; და *Mileva and Others v. Bulgaria*, nos. 43449/02 and 21475/04, §83, 25 November 2010).

33. იგივე ეხება მთავრობის მიერ აღნიშნულ მიმართვის სისხლისსამართლებრივ საშუალებასაც. რასაკვირველია, უცნობია თუ როგორ იმოქმედებდა მომჩივნის მიერ შეტანილი სისხლის სამართლის სარჩელის დაკმაყოფილება აღუსრულებლობის პრობლემის პირდაპირ და სწრაფ მოგვარებაზე, ვინაიდან სისხლის სამართლის სასამართლოს არ გააჩნდა საკმარისი უფლებამოსილება, კომპეტენტური ორგანოებისთვის დაევალებინა გადაწყვეტილების აღსრულება (იხ. *mutatis mutandis*, *Apostol*, ხსენებული ზემოთ, §§ 44-46, and *Stoycheva v. Bulgaria*, no. 43590/04, §40, 19 July 2011).

34. რაც შეეხება მიმართვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საშუალებას, სასამართლო იზიარებს მთავრობის იმ არგუმენტს, რომლის თანახმად, საჯარო მოხელის მხრიდან უმოქმედობის ან არასათანადო მოპყრობის შემთხვევებში, სავარაუდო მსხვერპლისგან მოსალოდნელია საჯარო მოხელის ან მოხელეების წინააღმდეგ ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა (იხ. მაგ., *Romashov v. Ukraine*, no. 67534/01, §31, 27 July 2004). თუმცა, წინამდებარე საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ შესაბამის მომენტში, არავითარი მიმართვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალება არ ყოფილა ხელმისაწვდომი მომჩივნებისთვის. კერძოდ, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 (§4) მუხლიდან ირკვევა, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა, რომელიც უკავშირდება საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას, აშკარად ამოღებულია ამ დებულების მოქმედების სფეროდან (იხ. §19). ამ კოდექსის მე-3 (§4 „გ“) მუხლის ფორმულირება სრულიად ნათელია და არ ტოვებს განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ეს დასკვნა, სასამართლოს აზრით, შემდგომში კიდევ უფრო გამყარდა იმ ფაქტით, რომ მთავრობამ ვერ წარადგინა შიდა სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებულ სიტუაციებში აღნიშნული მიმართვის საშუალების გამოყენებას.

35. ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ მთავრობის მიერ აღნიშნული მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები არასაკმარისი იყო გასაჩივრებული დარღვევის გამოსწორებისთვის და მთავრობის პრეტენზია არ უნდა დაკმაყოფილდეს.

(გ) პრეტენზია ექვსთვიანი ვადის დაუცველობის შესახებ

36. მთავრობამ აღნიშნა, რომ საჩივარი კონვენციით გათვალისწინებული ექსტრადივიდის ვადის ამოწურვის შემდეგ იქნა შეტანილი. მისი განმარტებით, მომჩივანთა ძირითადი არგუმენტი იყო ის, რომ 2005 წ. 2 ნოემბრის წერილით, გურჯაანის საჯარო რეესტრმა უარი განაცხადა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულებაზე და რომ ეს წერილი იყო ბოლო გადაწყვეტილება კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისთვის.

37. მომჩივნები ეწინააღმდეგებიან მთავრობის აღნიშნულ არგუმენტს, აცხადებენ რა, რომ ექსტრადივიდის ვადა არ გამოიყენება ისეთ განგრძობად დარღვევასთან მიმართებაში, როგორცაა საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა. ამ თვალსაზრისით, მათ აღნიშნეს, რომ 2005 წ. 2 ნოემბრის წერილი არ წარმოადგენდა ოფიციალურ გადაწყვეტილებას, რომელმაც გამოიწვია სააღსრულებლო პროცედურის შეწყვეტა. შესაბამისად, მისი თარიღი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ექსტრადივიდის ვადის ათვლის საწყის წერტილად. მათ ჰქონდათ რამდენიმე შეხვედრა რეგისტრატორთან სადავო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით და სააღსრულებო პროცედურა კვლავ მიმდინარეობდა.

38. სასამართლო შენიშნავს, რომ შესაბამისი ორგანოების მხრიდან საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარს მივყავართ განგრძობად სიტუაციამდე, იმგვარად, რომ ექსტრადივიდის ვადის წესი არ გამოიყენება (იხ., სხვათა შორის, Iatridis, ხსენებული ზემოთ, §50). გარდა ამისა, მომჩივანთა მსგავსად, სასამართლოც მიიჩნევს, რომ 2005 წ. 2 ნოემბრის წერილს არ გამოუწვევია გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურის შეწყვეტა (იხ. S.C. Procomexim SRL v. Romania, no. 35877/05, § 30, 27 October 2009; და *a contrario*, Kravchenko v. Russia, no. 34615/02, § 34, 2 April 2009). აღსრულების პროცედურა კვლავ შეფერხებულია, ვინაიდან, 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილება კვლავ რჩება აღსასრულებლად სავალდებულოდ (იხ. Hornsby, §35, and Iatridis, §50); არავითარი სარჩელი არ შესულა შიდა სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი შეცვლის ან გაუქმების მიზნით.

39. შესაბამისად, პრეტენზია უარყოფილ უნდა იქნას. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანთა მიერ, კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საფუძველზე, პირველ სამართალწარმოებასთან მიმართებაში წამოყენებული პრეტენზია არ არის მიუღებელი რაიმე სხვა მიზეზების გამო. შესაბამისად, ის მისაღებად უნდა იქნას ცნობილი.

ბ. არსებითი განხილვა

1. მხარეთა არგუმენტები

40. მთავრობამ წარადგინა პრეტენზია იმის შესახებ, რომ 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილება არ აღსრულდა იმის გამო, რომ მომჩივნებმა გურჯაანის საჯარო რეესტრში არ წარადგინეს მოთხოვნილი დოკუმენტები. შესაბამისად, აღსრულების პროცედურის გაჭიანურება მთლიანად მომჩივნების გამო იყო გამოწვეული. გარდა ამისა, მთავრობა ამტკიცებდა, რომ გურჯაანის საჯარო რეესტრს არასოდეს შეუშლია ხელი გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულებისთვის. მთავრობის განცხადებით, 2005 წლის 2 ნოემბრის წერილის ერთადერთი მიზანი იყო, მომჩივნებისთვის ეთხოვათ მიწის დასარეგისტრირებლად აუცილებელი სრული ინფორმაციის წარდგენა. აქედან გამომდინარე, სწორედ მომჩივანთა ქცევა გახდა გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურების ძირითადი მიზეზი.

41. მომჩივნები არ დაეთანხმნენ მთავრობას. მათ განაცხადეს, რომ საჯარო რეესტრის თვითნებურმა მოთხოვნებმა ხელი შეუშალა გადაწყვეტილების მათ სასარგებლოდ აღსრულებას და რომ მათ ამ თვალსაზრისით არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნიათ. მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ რეგისტრატორი მათ საქმეს ბიუროკრატიული მეთოდებით მიუდგა, დააკისრა მათ დამატებითი ვალდებულებები, საბოლოო გადაწყვეტილების შესწორების მიზნით პროცესის დაწყების ირიბი ვალდებულების ჩათვლით. ისინი მიიჩნევდნენ, რომ რეგისტრატორის საყვედური 2005 წ. 31 დეკემბრის გადაწყვეტილების შინაარსთან მიმართებაში, არ ემსახურებოდა არავითარ ლეგიტიმურ მიზანს, ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაცია უკვე დადგენილი იყო და მას ფლობდა საჯარო რეესტრი. ამ არგუმენტის გასამყარებლად, მომჩივნებმა წარადგინეს სოფლის რუკა დადგენილი საზღვრებით, დანომრილი მიწის ნაკვეთებითა და დეტალური სიით, რომელშიც აღნიშნული იყო მიწის ნაკვეთების მფლობელთა ვინაობა სოფელში, ნაკვეთების ზუსტი მდებარეობა და ზომა.

42. აღნიშნულ რუკასთან დაკავშირებით, მთავრობას კომენტარი არ გაუკეთებია. მას ასევე არ განუმარტავს, ნამდვილად ფლობდა თუ არა საჯარო რეესტრი მოთხოვნილ ინფორმაციას.

2. სასამართლოს შეფასება

43. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ილუზორული იქნებოდა, თუკი კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა ხელს შეუწყობდა იმას, რომ სასამართლოს საბოლოო, სავალდებულო გადაწყვეტილება დარჩებოდა აღუსრულებელი ერთი მხარის საზიანოდ (იხ. ზემოაღნიშნული Hornsby, §40). ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება უნდა იქნას მიჩნეული როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი კონვენციის

მე-6 მუხლის მიზნებისთვის. გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებებით, მაგრამ ის ზიანს არ უნდა აყენებდეს მე-6 (§1) მუხლით დაცული უფლების არსს (იხ. სხვებს შორის, *Hornsby*, მითითებული ზემოთ, §40; *Jasiūnienė v. Lithuania*, no. 41510/98, § 27, 6 March 2003; *Qufaj Co. Sh.p.k. v. Albania*, no. 54268/00, § 38, 18 November 2004; and *Beshiri and Others v. Albania*, no. 7352/03, § 60, 22 August 2006).

44. მოსარჩელე მხარის ეფექტური დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას, აღსრულონ შიდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება (იხ. ზემოაღნიშნული *Hornsby*, §41 და *Mutishev and Others v. Bulgaria*, 18967/03, §129, 3 December 2009). თუ ადმინისტრაციული ორგანოები უარს აცხადებენ, ვერ ახერხებენ ან აჭიანურებენ ამ ვალდებულების შესრულებას, მოსარჩელე მხარისთვის სამართალწარმოების პროცესში მე-6 მუხლით მინიჭებული გარანტია აზრს კარგავს (იხ. *Antonetto v. Italy*, no. 15918/89, §28, 20 July 2000).

45. გარდა ამისა, სასამართლო შეახსენებს, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია საბოლოო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, როდესაც ფაქტორები, რომლებიც აფერხებს ან ხელს უშლის მათ სრულ და დროულ აღსრულებას, არის შესაბამისი ორგანოების კონტროლის ქვეშ (იხ. *Sokur v. Ukraine*, no. 29439/02, 26 April 2005, and *Kryshchuk v. Ukraine*, no. 1811/06, 19 February 2009). ამავე დროს, მოგებული მხარის მიმართ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პროცედურული ზომების მიღების მოთხოვნა, რათა უზრუნველყოფილ იქნას გადაწყვეტილების აღსრულება, იმ პირობით, რომ მოთხოვნილი ფორმალბები არსებითად არ ზღუდავს ან არ ამცირებს აღსრულების პროცედურაზე მხარის ხელმისაწვდომობას (იხ. *Kosmidis and Kosmidou v. Greece*, no. 32141/04, § 24, 8 November 2007; *Rompoti and Rompotis v. Greece*, no. 14263/04, § 26, 25 January 2007; *Apostol*, cited above, § 64; და *Burdov (no. 2)*, ხსენებული ზემოთ, §69). ნებისმიერ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მოთხოვნები სახელმწიფო ორგანოებს არ უნდა ათავისუფლებდეს კონვენციით დადგენილი ვალდებულებისგან, დროულად და საკუთარი ინიციატივით მიიღონ ზომები მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, რათა აღსრულონ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები (იხ. *Akashev v. Russia*, no. 30616/05, §22, 12 June 2008). სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველყოფის ვალდებულება, უპირველესად, სახელმწიფო სტურქტურებს ეკისრებათ იმ მომენტიდან, როდესაც გადაწყვეტილება სავალდებულო და აღსრულებადი ხდება (იხ. *Stoycheva v. Bulgaria*, ხსენებული ზემოთ, §58).

46. წინამდებარე საქმეში, მომჩივნები ასაჩივრებდნენ 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულებლობას. მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენდა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა მიწის მესაკუთრის ვინაობა და მომჩივნებს შეეძლოთ მისი გამოყენება საჯარო რეესტრში მფლობელებად დარეგისტრირების მიზნით, შემდგომი დამატებითი ადმინისტრაციული ან სასამართლო განხილვის გარეშე. აქედან გამომდინარე, მომჩივნებს ჰქონდათ საფუძვლიანი მოლოდინი, რომ გადაწყვეტილება შესაბამისი წესით აღსრულდებოდა.

47. მთავრობის მტკიცებით, გადაწყვეტილების აღსრულებლობის მიზეზი იყო მომჩივანთა მიერ, დამატებითი მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა. სასამართლო ეთანხმება მთავრობის არგუმენტს, რომ რეგისტრატორის მოთხოვნა ისეთი დამატებითი დოკუმენტების წარდგენის თაობაზე, როგორცაა ადვოკატის პირადობის მოწმობის ასლი, რწმუნებულება და სააღსრულებლო ფურცლის ორიგინალი, არ წარმოადგენდა ერთპიროვნულ მოთხოვნას (იხ. ზემოხსენებული *Kosmidis and Kosmidou*, §24). თუმცა, სასამართლოს აზრით, გადაწყვეტილების აღსრულების გზაზე ძირითადი წინააღმდეგობა უკავშირდებოდა რეგისტრატორის წერილში სასამართლოს მიერ მიღებული სადავო გადაწყვეტილების კრიტიკას იმ მოტივით, რომ ის არ იყო სრულყოფილი არსებით ნაწილში, ვინაიდან არ შეიცავდა ინფორმაციას №604 მიწის ნაკვეთის ზომის ან მისი კატეგორიის, სასოფლო-სამეურნეო თუ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შესახებ. სასამართლო იზიარებს მომჩივნების აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ რეგისტრატორმა მათ *de facto* დააკისრა ახალი სარჩელის შეტანის ვალდებულება სადავო გადაწყვეტილების შეცვლის მიზნით. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში საკითხი მდგომარეობს იმის გარკვევაში, ზედმეტად უშლის თუ არა მომჩივნებს ხელს შესწორებული გადაწყვეტილების წარდგენის ვალდებულება მათ სასარგებლოდ მიღებული სავალდებულო, საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებაში.

48. უპირველეს ყოვლისა, ახალი სასამართლო პროცესის დაწყების ვალდებულებასთან დაკავშირებით, სასამართლო შეახსენებს, რომ პირს, რომელსაც გააჩნია სასამართლოს მიერ, მის სასარგებლოდ, სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულო აღსრულებას ექვემდებარება, არ შეიძლება დაეკისროს მოთხოვნათა იძულებით დაკმაყოფილება ან სხვა მსგავსი მოქმედებები გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით (იხ. ზემოთ ნახსენები *Burdov* (no. 2) § 72)).

49. მეორეს მხრივ, იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრატორის მიხედვით, შეტანილი უნდა ყოფილიყო შესწორებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში, მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ №604 მიწის ნაკვეთის ზომა და დანიშნულება მანამდე იყო დადგენილი და ხელმისაწვდომი, სანამ სასამართლო სადავო გადაწყვეტილებას მიიღებდა (იხ. §41 ზემოთ). უფრო მეტიც, ამ სახის ინფორმაციას ფლობდა საჯარო რეესტრი, რომელიც *inter alia* პასუხისმგებელია უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემთა ბაზის შექმნასა და შენახვაზე (იხ. §15 ზემოთ) მთავრობას არ გაუპროტესტების მომჩივანთა აღნიშნული არგუმენტი (იხ. §42 ზემოთ).

50. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ რეგისტრატორის მიერ იმ ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც იყო ან უნდა ყოფილიყო საჯარო რეესტრის განკარგულებაში, არავითარ კანონიერ მიზანს არ ემსახურებოდა და მიზნად ისახავდა აღსრულების პროპცესის გაჭიანურებას (იხ. ზემოაღნიშნული *Rompoti and Rompotis*, §§ 27-28).

51. სასამართლო შენიშნავს, რომ მხარეთა მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მომჩივანთა სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება დღემდე არ

აღსრულებულა; სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გადაწყვეტილების აღსრულება შვიდ წელზე მეტ ხანს გაჭიანურდა. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ არსებობდა მოლოდინი იმისა, რომ მომჩივანი მიიღებდა გარკვეულ პროცედურულ ზომებს მის სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში (იხ. Stoycheva, §58), აღსრულების შესაბამისი ორგანოების მხრიდან გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში გამოჩენილი ინერტულობა პასუხისმგებლობას აკისრებს მოპასუხე სახელმწიფოს (იხ. Cravcenco v. Moldova, no. 13012/02, § 45, 15 January 2008; Mirzayev v. Azerbaijan, no. 50187/06, §§ 35-36, 3 December 2009, and Kirilova and Others v. Bulgaria, nos. 42908/98, 44038/98, 44816/98 and 7319/02, § 121, 9 June 2005). შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანთა მიერ დამატებითი დოკუმენტების წარუდგენლობამ შესაძლოა, ხელი შეუწყო გადაწყვეტილების აღსრულებლობას (იხ. §47), ეს არ ათავისუფლებს შესაბამის ორგანოებს მათი ვალდებულებისგან, აღსრულონ სასამართლოს საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილება (იხ. Gjonbocari and Others v. Albania, no. 10508/02, §§ 52-53, 23 October 2007, and Stoycheva, cited above, § 58).

52. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები არანაირად არ ამართლებს 2005 წ. 31 იანვრის საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობას. შესაბამისად, ადგილი აქვს კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დაღვევას.

II. კონვენციის მე-13 და პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლების სავარაუდო დარღვევა

53. კონვენციის მე-13 და I დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივნებმა წამოაყენეს პრეტენზია იმის შესახებ, რომ მათ არ ჰქონდათ მიმართვის ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალებები მეორე სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან მიმართებაში და რომ ამ მიმდინარე სამართალწარმოებამ დაარღვია მათი საკუთრების უფლება. I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი ასევე იქნა გამოყენებული 2005 წ. 31 იანვრის სავალდებულო გადაწყვეტილების აღსრულებლობისა და საბჭოთა კავშირის მიერ, 1920-იან წლებში, მომჩივანთა სამკვიდრო ქონების ექსპროპრიაციის გასაჩივრების მიზნით.

54. კონვენციის მე-13 და I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლები შემდეგნაირად იკითხება:

„მუხლი 13

ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

I დამატებითი ოქმის მუხლი 1

ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.“

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად, საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლის ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

55. მეორე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, სასამართლო, მხედველობაში იღებს რა მის ხელთ არსებული მასალებს, კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საფუძველზე ადგენს, რომ კონვენციის მე-13 და I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები აგრეთვე უნდა იქნას უარყოფილი, ვინაიდან ისინი *ratione materiae* შეუსაბამოა კონვენციის 35-ე (§§ 3 და 4) მუხლთან. უფრო მეტიც, 1920-იან წლებში, საბჭოთა ექსპროპრიაციასთან დაკავშირებული პრეტენზია წარმოიშვა სასამართლოს დროით იურისდიქციამდე მოპასუხე სახელმწიფოსთან მიმართებაში და შესაბამისად, არ არის მისაღები *ratione temporis* კონვენციის 35-ე (§§ 3 და 4) მუხლის საფუძველზე (იხ. ზემოხსენებული თეიმურაზ ანდრონიკაშვილი).

56. პირველ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია აშკარად დაუსაბუთებელია კონვენციის 35-ე (§3) მუხლის შინაარსიდან გამომდინარე. თუმცა, კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევის დადგენიდან გამომდინარე (იხ. §52), სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს იმის განცალკევებით განხილვის საჭიროება, ჰქონდა თუ არა ადგილი I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას წინამდებარე საქმის განსაკუთრებულ გარემოებებში.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

57. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

58. მომჩივანთა ძირითადი მოთხოვნაა მათ სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება, რაც გულისხმობს მათი საკუთრების უფლების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. მათ მოითხოვენ 20.000 ევრო თითოეულისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც შესაბამისი ორგანოების მიერ 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულებლობის შედეგად მიადგათ და 100 ევრო აღსრულების ყოველ დაგვიანებულ თვეზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნული თანხა დაფარავდა სადავო მიწის ნაკვეთის გამოუყენებლობის შედეგად განაცდურ მოგებას.

59. მთავრობას მიაჩნია, რომ მომჩივანთა პრეტენზიები არაგონივრული და დაუსაბუთებელია, ვინაიდან წინამდებარე საქმეში, კონვენციის არცერთი დებულების დარღვევას არ ჰქონია ადგილი. მთავრობის თანახმად, 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულებლობა მთლიანად მომჩივანთა ბრალეულობით იყო გამოწვეული.

60. სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეუსრულებელი ვალდებულება, აღსრულოს 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილება, არ წარმოადგენს დავის საგანს. მე-6 მუხლის დარღვევის გამოსწორების ყველაზე შესაბამისი ფორმა იქნებოდა იმის უზრუნველყოფა, რომ მომჩივნები რაც შეიძლება სწრაფად აღმოჩნდნენ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ისინი იქნებოდნენ მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვის შემთხვევაში (იხ. among other authorities Apostol, cited above, §§ 72-73, and Teteriny v. Russia, no. 11931/03, § 56, 30 June 2005).

61. სასამართლო ვერ ხედავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს დადგენილ დარღვევებსა და სავარაუდო ზიანის ფულად კომპენსაციას შორის და შესაბამისად უარყოფს აღნიშნულ მოთხოვნას. თუმცა, სასამართლოს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ მომჩივნებმა განიცადეს გარკვეული სტრესი და იმედგაცრუება გადაწყვეტილების აღსრულებლობის გამო. გამოწვეული მორალური ზიანი ვერ ანაზღაურდება მხოლოდ დარღვევის დადგენით. აქედან გამომდინარე, სასამართლო თითოეულ მომჩივანს მიაკუთვნებს 2.000 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

ბ. გაწეული ხარჯები და დანახარჯები

62. მომჩივნებმა მოითხოვეს 20.337,30 ევროს ანაზღაურება როგორც შიდა, ასევე ევროპულ სასამართლოებში მათი წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურების მიზნით. აღნიშნული მტკიცების გასამყარებლად, მათ წარმოადგინეს 2009 წ. 25 თებერვლით დათარიღებული ქვითარი, რომელშიც მითითებულია ზემოხსენებული თანხის ოდენობა 18%-იანი დღგ-ის ჩათვლით, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მათ აგრეთვე წარმოადგინეს ადვოკატების მიერ

მიწოდებული ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ, დახარჯული საათების ოდენობისა და საათობრივი ტარიფების შესაბამისად.

63. გარდა ამისა, მომჩივნებმა მოითხოვეს 998,30 ლარის ოდენობის ადმინისტრაციული ხარჯების ანაზღაურება. გარდა დანახარჯების დეტალურად ამსახველი დოკუმენტისა, მომჩივნებს არ წარმოუდგენიათ სხვა შესაბამისი ქვითრები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ აღნიშნული დანახარჯები ნამდვილად იქნა გაწეული.

64. მთავრობა ამტკიცებდა, რომ სასამართლოში წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხარჯები გადაჭარბებული იყო; რაც შეეხება ადმინისტრაციულ ხარჯებს, ისინი არასაკმარისად იყო დასაბუთებული.

65. სასამართლო აცხადებს, რომ კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების უფლების ქონისთვის, დაზარალებულ მხარეს ნამდვილად უნდა ჰქონდეს გაწეული აღნიშნული ხარჯები. განსაკუთრებით, სასამართლოს რეგლამენტის მე-60 მუხლის მიხედვით, კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე მომზადებული ნებისმიერი პრეტენზიის შესახებ დეტალური ანგარიში უნდა იქნას წარდგენილი დამადასტურებელ დოკუმენტებთან ან ქვითრებთან ერთად, რომელთა წარუდგენლობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია, სრულად ან ნაწილობრივ უარყოს მოთხოვნა. გარდა ამისა, გაწეული ხარჯები და დანახარჯები მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება ანაზღაურებას, როდესაც ისინი დადგენილ დარღვევას უკავშირდება (იხ. სხვათა შორის, *Iatridis v. Greece (just satisfaction)* [GC], no. 31107/96, § 54, ECHR 2000-XI; *Beyeler v. Italy (just satisfaction)* [GC], no. 33202/96, § 27, 28 May 2002; და *Svipsta v. Latvia*, no. 66820/01, § 170, ECHR 2006-III).

66. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანთა ადვოკატების მიერ პრეტენზიებთან მიმართებაში მოყვანილი არგუმენტების გარკვეული ნაწილი დაუშვებლად იქნა ცნობილი. შესაბამისად, მოთხოვნა სრულად ვერ დაკმაყოფილდება და მოხდება შემცირდება. სასამართლო მიიჩნევს, რომ შესაბამისი ფინანსური დოკუმენტების უკმარისობის გამო, სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯების ანაზღაურება არ მოხდება. რაც შეეხება იურიდიული მომსახურების ხარჯებს, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, სასამართლო, ამ კუთხით, მომჩივნებს ერთობლივად მიაკუთვნებს 1.500 ევროს.

გ. საურავი

67. სასამართლოს მიაჩნია, საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო, ერთხმად

1. აცხადებს მისაღებად კონვენციის მე-6 (§1) და I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლების საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან დაკავშირებით და საჩივრის დანარჩენ ნაწილს - მიუღებლად;

2. ადგენს, რომ რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევას 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან მიმართებაში;

3. ადგენს, რომ არ არსებობს I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის განხილვის საჭიროება;

4. ადგენს, რომ

(ა) მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, თითოეულ მომჩივანს უნდა გადაუხადოს: 2.000 (ორი ათასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული და ორივე მომჩივანს ერთობლივად - 1.500 (ათას ხუთასი) ევრო გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;

(ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი

5. უარყოფს მომჩივანთა დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურად და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2012 წ. 12 ივნისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§ 2 და 3) მუხლების შესაბამისად.

სანტიაგო კესადა
სექციის განმწესრიგებელი

ჯოზეპ კასადევალი
თავმჯდომარე